ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

# გადაარჩინეთ სიცოცხლე: დაიცავით ხელების ჰიგიენა

## COVID-19-ის გავრცელების დროს

## ხელების ჰიგიენა საზოგადოებაში

**თქვენ შეგიძლიათ კრიტიკული როლი შეასრულოთ COVID-19-თან ბრძოლაში**

- **ხელები** მნიშვნელოვან როლს ასრულებენ COVID-19-ის გავრცელებაში
- COVID-19 გადაეცემა წვეთოვანი და კონტაქტური გზით. კონტაქტური გზით გადაცემა გულისხმობს ინფიცირებულ პირთან კონტაქტს ან/და დაბინძურებულ საგნებსა და ზედაპირებზე ხელით შეხებას. შესაბამისად, დაბინძურებული ხელებით შესაძლებელია ვირუსი გავრცელდეს სხვა ზედაპირებზე; ასევე პირზე, ცხვირსა და თვალებზე დაბინძურებული ხელების შეხებით.

## რატომ არის ხელების ჰიგიენა ინფექციების, მათ შორის COVID-19-ის კონტროლის ყველაზე მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიება?

- **ხელების ჰიგიენა** ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური პრევენციული ღონისძიებაა პათოგენების გავრცელების შესამცირებლად და ინფექციების მ.შ. COVID-19-ის პრევენციისათვის
- საზოგადოების თითოეულ წევრს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს COVID-19-თან ბრძოლაში ხელების ჰიგიენის ყოველდღიური ცხოვრების წესად ჩამოყალიბების გზით




შეურთდით **#უსაფრთხოხელების** გამოწვევას და გადაარჩინეთ სიცოცხლე! განათავსეთ ხელი დაბანის ამსახველი ვიდეო ან ფოტოსურათი და მონიშნეთ **#უსაფრთხოხელები #SAFEHANDS**

ჯანმო მოუწოდებს პოლიტიკის შემქმნელებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უზრუნველყონ შესაბამისი ინფრასტრუქტურა და გარემო ხელების ჰიგიენის ეფექტურად დაცვის უზრუნველსაყოფად.




## ხელების ჰიგიენა სამედიცინო დაწესებულებებში

### რატომ არის მნიშვნელოვანი COVID-19-თან დაკავშირებით ჯანმოს ხელების დაბანის გლობალურ კამპანიაში მონაწილეობა?

- ჯანმოს გლობალური კამპანია ხელების ჰიგიენასთან დაკავშირებით **გაადაარჩინეთ სიცოცხლე: დაიცავით ხელების სისუფთავე** ხელს უწყობს ადამიანების მობილიზაციას მსოფლიოს მასშტაბით და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ხელების ჰიგიენის მნიშვნელობას სამედიცინო დაწესებულებებში ჯანდაცვის მუშაკებსა და პაციენტებში COVID-19-სა და სხვა პათოგენების პრევენციისათვის
- **ექთნები და ჯანდაცვის მუშაკები** COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე მყოფი გმირები არიან
- 2020 წლის გლობალური კამპანიის ფარგლებში ექთნებსა და ბებიაქალებს კრიტიკული როლი ენიჭებათ ინფექციების კონტროლის პრევენციის საკითხში




გადაარჩინეთ სიცოცხლე: დაიცავით ხელების ჰიგიენა!

#დაიბანეთხელები #ხელებისჰიგიენა #ინფექციებისკონტროლი
https: //www.who.int/infection-prevention/campaigns/clean-hands/en/

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH
World Health Organization

## რა აღინიშნება 2020 წლის 5 მაისს და რა კავშირი აქვს მას COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლასთან?

- ხელების ჰიგიენის დღე ყოველწლიურად 5 მაისს აღინიშნება. წელს ჯანმოს გლობალური კამპანია „გადაარჩინეთ სიცოცხლე, დაიცავით ხელების სისუფთავე“ ფოკუსირდება ხელების ჰიგიენის მნიშვნელობაზე სამედიცინო დაწესებულებებში COVID-19-ის კონტექტსში.

- ათასწლეულის მიზნები (DG) მოუწოდებს ქვეყნებს უზრუნველყონ ხელების ჰიგიენაზე ხელმისაწვდომობა მსოფლიოს მასშტაბით

- 2020 წლის კამპანიის სლოგანია: „ექთნებსა და ბებიქალებს: სამედიცინო მომსახურების დროს ხელების ჰიგიენის დაცვა თქვენს ხელშია“. წლევანდელი კამპანია ხაზს უსვამს ინფექციების კოტროლისა და ხელების ჰიგიენის პრაქტიკის დანერგვაში ექთნებისა და ბებიაქალების მნიშვნელობას პაციენტთა სიცოცხლის გადასარჩენად

**- ექთნებს:** ჰიგიენა და უსაფრთხოება სამედიცინო მომსახურების დროს თქვენგან იწყება
**- ბებიაქალებს:** თქვენი ხელების ჰიგიენა ხელს უწყობს დედების და ახალშობილების სიცოცხლის გადარჩენას
**- პოლიტიკის შემქმნელებს:**

გაზარდეთ ექთნების რაოდენობა ინფექციების პრევენციისა და ხარისხის კონტროლის გაუმჯობესებისათვის

**- პაციენტებსა და მათი ოჯახის წევრებს:** უსაფრთხო სამედიცინო მომსახურება თქვენთვის და თქვენი მონაწილეობით

## რა უნდა ვიცოდეთ ხელების ჰიგიენის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ COVID-19-ის დროს?

### ხელების დაბანა

- მტკიცებულებებით დასტურდება SARS-ისა და COVID-19-ის ეპიდემიების დროს სამედიცინო პერსონალის ინფიცირების დასაცავად ხელების ჰიგიენის მნიშვნელოვანი როლი. (Seto WH et al, "Lancet" 2003; Ran L et al, "Clin Infect Dis" 2020)
- ხელების დაბანა ძალიან ეფექტურია მოსახლეობაში დიარეული და რესპირაციული დაავადებების გავრცელების პრევენციისათვის (Je¬erson T, et al. “BMJ” 2008)
- ჩვეულებრივი საპონი ეფექტურია ისეთი ვირუსების უვნებელსაყოფად, როგორიცაა COVID-19, მათი ცხიმოვანი მემბრანის გამო, რომელსაც მარტივად შლის საპონი. (Sickbert-Bennett EE et al, “Am J Infect Control”2005). გარდა ამისა, ხელის დაბანისას ვირუსის ინაქტივირება ხდება მექანიკური ზემოქმედებითაც. (WHO Guidelines on Hand Hygiene in Health Care 2009)

### მნიშვნელოვანია

- ხელების დასამუშავებელ საშუალებებში სპირტის შემცველობა იყოს არანაკლებ 60%-სა; პროდუქცია უნდა იყოს სერთიფიცირებული და შეესაბამებოდეს ჯანმოს რეკომენდაციებს
- ხელების რუტინული ჰიგიენისათვის არ არის რეკომენდებული 0.05%-იანი დაქლორილი წყლის გამოყენება , რადგან მას აქვს გარკვეული ტოქსიკური ზემოქმედება. გაცილებით ადვილი და ეფექტურია ხელების საპნით დაბანა

## ხელების ჰიგიენის სწორი დრო და ტექნიკა სამედიცინო დაწესებულებებში

### სწორი დრო:




### სწორი პრაქტიკა:




### სწორი პრაქტიკა:

- ხელების დამუშავება სპირტის შემცველი ხსნარით არანაკლებ 20-30 წამის განმავლობაში
- ხელების დაბანა საპნითა და წყლით არანაკლებ 40-60 წამის განმავლობაში

**გადაარჩინეთ სიცოცხლე: დაიცავით ხელების ჰიგიენა!**

#დაიბანეთხელები #ხელებისჰიგიენა #ინფექციებისკონტროლი
https: //www.who.int/infection-prevention/campaigns/clean-hands/en/

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

World Health Organization